

ესბეკის ხუროთმოძღვრული კომპლექსი

ლოლა ციცხვია

ა. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის და თეორიის კათედრა

ანოტაცია

ესბეკის არქიტექტურული კომპლექსი ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა მშენებლობის ადრეული პერიოდის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია.

ესბეკი მდებარეობს ართვინის ვილაიეთში, ისტორიულ ტაოში (ამჟამად თურქეთში), მდინარე ოლთისის მარცხენა სანაპიროზე. თავის დროზე ესბეკი იყო სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პატარა დასახლებული ადგილი გამაგრებული ციხითა და გალავნით.

ესბეკის არქიტექტურული კომპლექსი ორ ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს. მასში გაერთიანებული ნაგებობები - სამნავიანი ბაზილიკა, სამარხი-სამლოცველოსა და საერო შენობათა ნაშთები და XV-XVI საუკუნეების მიჯნისაგურით ნაგები დარბაზული ეკლესია და საგუმბაგო კოშკი. ქვის მასიური გალავნითაა შემოზღუდული. რამდენიმე მეტრის მოშორებით დგას მცირე ზომის დარბაზული ეკლესია.

ესბეკის მთავარ ნაგებობას, სამნავიან ბაზილიკას, ანალოგიური ტიპის ეკლესიებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია საერთო არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტის რიგი თავისებურებების გამო (სიგრძივი ღერძის მიმართულებით განთავსებული თაღების განიერი მალეები, პასტოფორიუმების სპეციფიური გადაწყვეტა, დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე სარკმლების უგულებელყოფა).

ესბეკის სამნავიანი ბაზილიკა არქიტექტურულ ტიპითა და აქ გამოყენებული საამშენებლო საშუალებებით შეიძლება მივაკუთვნოთ IX საუკუნის დასასრულს ან X საუკუნის დასაწყისს.

ზემოხსენებულ დარბაზული ეკლესიაც დანაწევრებულ პატარა სივრცით IX-X საუკუნეების მიჯნით უნდა დავათარილოთ.

საკვანძო სიტყვები: ტაო-კლარჯეთი, არქიტექტურული კომპლექსი, სამნავიანი ბაზილიკა, დარბაზული ეკლესია, აფსიდა.

ესბეკის ხუროთმოძღვრული ანსამბლი ტაო-კლარჯეთის არქიტექტურულ ნაგებობათა მშენებლობის ადრეული პერიოდის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია. ესბეკის კომპლექსის შესახებ ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში ძალზე მწირია. სწორედ ამით აიხსნება აღნიშნული ძეგლით ჩვენი დაინტერესება.

უპირველესად, მადლობა მინდა მოვახსენო ტაო-კლარჯეთის ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ გერმანელ მწერალს კარლ ჰაინც შეფელერს. მან მიმიწვია ამ რეგიონში 1999 წლის ივლისში ორგანიზებულ ექსპედიციაში, რითაც წილად მხვდა ბედნიერება მენახა ბევრი უცნობი ძეგლი, მათ შორის ესბეკის არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც ჯერ კიდევ ფაქტიურად შეუსწავლელია ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლების ფონზე, როგორებიცაა იშხანი, ოშკი, ხახული, პარხალი, ოთხთა ეკლესია და სხვა.

ესბეკის არქიტექტურულ ანსამბლში ჩაწერილი მთავარი ნაგებობის აზომვითი სამუშაო განხორციელდა მხოლოდ 1995 წლის ივნის-ივლისში გ.ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ

მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციის დროს [1]. უფრო ადრე, 1983 წელს, ესბუკი ინახულა ამერიკაში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, ხელოვნების ისტორიკოსმა პროფესორმა ვახტანგ ჯობაძემ, მაგრამ მან, როგორც სინანულით აღნიშნა კიდევ თავის ნაშრომში „შუა საუკუნეების ქართული ეკლესიები და მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში“, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ მოახერხა სრულად მოეხილა და დაეფიქსირებია განადგურების გზაზე მყოფი ესბუკის არქიტექტურული ნაშთები. მეცნიერს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ რამდენიმე ფოტოსურათი მთავარი ეკლესიისა და მისი მოკლე აღწერა [2.47-48].

ესბუკი მდებარეობს ართვინის ვილაიეთში, ისტორიულ ტაოში, მდინარე ოლთისის (ოლთი-ჩაი) მარცხენა სანაპიროზე. ცენტრალური სამანქანო გზა მიემართება იშხნისაკენ, მდინარე ოლთისის ხეობაში. ირგვლივ შთამბეჭდავი პეიზაჟია: უცნაური მოხაზულობის უზარმაზარი კლდეები ერთმანეთს ფილმის კადრებივით ენაცვლება, ზოგჯერ კიდევ ერთმანეთში იკარგება და კლდეების მიღმა წარმოიქმნება იდუმალეობით მოცული სიღრმე, საიდანაც თორთუმისწყალი გამოედინება. შემდეგ გზა უხვევს მარცხნივ, გადადის მდინარე ოლთისზე გადებულ ხიდზე და იწყება მტვრიანი გრუნტის გზა, რომელიც ზემოთ მიემართება.

ესბუკის არქიტექტურული კომპლექსის გამოჩენამდე მნახველის ყურადღებას იპყრობს კლდის წვერიდან ამოზრდილი დიდებული ციხე-სიმაგრე, რომელსაც, როგორც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვითხრეს, პატარა სამლოცველო ახლავს, გამოდის, რომ ესბუკს თავის დროზე მეტად სტრატეგიული ადგილმდებარეობა ჰქონია [2.47-48]. სოფლის ტერიტორიაზე აღმართულია ქვის უზარმაზარი აკვედუკის კედლის შემორჩენილი ნაშთები. მისი სიმაღლე ერთი მეტრიდან შვიდ მეტრამდე მერყეობს, ხოლო სისქე ნახევარი მეტრიდან ერთ მეტრამდე. აკვედუკის კედელი ერთ ბოლოში დასრულებულია არხითა და ცისტერნებით, საიდანაც ხდებოდა ნათესების მორწყვა და მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა. დღეს ეს აკვედუკი, ბუნებრივია, ფუნქციადაკარგულია, ხოლო ზემოხსენებული ცისტერნები მოსახლეობას პურის საცხოვრებლად აქვს გამოყენებული [2.48]. ამჟამად ესბუკში დაახლოებით 150 კაცი ცხოვრობს და საფიქრებელია, რომ აქ ამაზე მეტი არც შუა საუკუნეებში უნდა ყოფილიყო.

ესბუკის არქიტექტურული კომპლექსი დიდ მოვაკებულ ტერიტორიაზეა გაშლილი და ორ ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს. ანსამბლი კი რამდენიმე შენობას შეიცავს: სამნავიანი ბაზილიკა, საგუმაგო კოშკის, სამარხი-სამლოცველოსა და საერო შენობათა ნაშთები და აგურით ნაგები დარბაზული ეკლესია. ესბუკის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში ჩართული ნაგებობები, გარდა ბაზილიკისა, თავის დროზე შემოზღუდული ყოფილა ქვის მასიური გალავნით, რომლისგან დღეს უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი. ზემოჩამოთვლილ შენობათაგან რამდენიმე მეტრის მოშორებით დგას მცირე ზომის ქვის დარბაზული ეკლესია, რომელსაც ქვემოთ შევხებით.

ესბუკის ხუროთმოძღვრული ანსამბლის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს სამნავიანი ბაზილიკა, რომელმაც ჩვენამდე, სამწუხაროდ, საგრძნობლად დაზიანებული სახით მოაღწია - შენობის კედლების ზედა ნაწილები საერთოდ ჩანგრეულია და, ბუნებრივია, აღარც მისი გადამხურავი კამარები არსებობს. დაზიანების მიუხედავად, ბაზილიკა დღესაც აღიქმება, როგორც დომინანტი ესბუკის არქიტექტურული კომპლექსისა და მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს დახვეწილი ფორმებით, სიძველითა და იმპოზანტურობით.

ესბუკის სამნავიან ბაზილიკას ანალოგიური ტიპის ნაგებობებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უნდა მივაკუთვნოთ საერთო არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტის რიგი თავისებურებების გამო. ბაზილიკა ადგილობრივი ნაწილობრივ

დამუშავებული მონაცრისფრო ქვებითაა აგებული. ყოველგვარ დეკორატიულ შემკულობას თუ წარწერებს მოკლებული ტაძრის ფასადების სადა ზედაპირი გაცოცხლებულია დიდი კვადრებითა და პატარა ქვებით შექმნილი თარაზული რიგების რიტმული მონაცვლეობით.

ესბეკის ბაზილიკის ინტერიერი შედგება შუა განიერი და ორი გვერდითი, მეტისმეტად გრძელი და ვიწრო ნავისაგან, რომლებიც კორიდორებს უფრო მოგვაგონებს. გვერდითი ნაგებობები ცენტრალურთან დაკავშირებულია ორ-ორი ფართო თალით, რომლებიც მასიურ ბურჯებზეა გადაყვანილი. როგორც ნუკა-საყდრის ორნავიან ნაგებობასა და პარეხთას სამნავიან ბაზილიკაში (ორივე IX საუკუნით თარიღდება და ტაო-კლარჯეთში მდებარეობს), ესბეკის ეკლესია გვანცვიფრებს სიგრძივი ღერძის მიმართულებით განთავსებული თაღების მალეების სიდიდით, რომლებიც თითქმის ორჯერ აღემატება გვერდითი ნაგებობის განივი თაღების სიგანეს. ამგვარი განიერთაღებიანი ბაზილიკები, რომლებიც მათ სირიულ წარმომავლობაზე მიუთითებს, საქართველოში კარგადაა ცნობილი V საუკუნიდან - ბაზილიკები ურბნისში (V-VI სს), ვაზისუბანსა (VI-VII სს) და არეშში (VII-IX სს.) [2.48].

ბაზილიკის შუა ნავი აღმოსავლეთით დასრულებულია საკურთხევლის ნახევარწრიული აბსიდით, რომლის ღერძზე ერთი დიდი სარკმელია გაჭრილი. აბსიდის ორივე მხარეს მოთავსებულია პასტოფორიუმები (ცალკე გამოყოფილი სათავსოები - სადიაკვნე და სამკვეთლო) საკუთარი აბსიდიოლებითა და თითო პატარა სარკმლით. პასტოფორიუმები გვერდითი ვიწრო ნაგებობის გაგრძელებას წარმოადგენენ და მათ ვიწრო გასასვლელებით უკავშირდებიან.

მეტად უცნაურია ბაზილიკის მაშენებლის მიერ სარკმლების უგულვებლყოფა არა მხოლოდ დასავლეთ ფასადზე, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაგებობის მთელ სიგრძეზეც. ეს გარემოება, როგორც პროფ. ვ. ჯობაძე სამართლიანად შენიშნავს, მიუთითებს ეკლესიის მაქსიმალური თავდაცვითი ფუნქციის გათვალისწინებაზე [2.48]. იგივე ხერხია განმეორებული ბაზილიკის ჩრდილო-დასავლეთით გაცილებით მოგვიანებით აღმართულ საგუმბაგო კომპლექსშიც. ეკლესიას, როგორც სავარაუდოა, აღმოსავლეთის დიდ სარკმელთან ერთად, ანათებდა დღეს უკვე არარსებული, მეორე სართულის დონეზე მოწყობილი პატრონიკეს ზედა რიგის სარკმლები და ორი კარი დასავლეთიდან და სამხრეთიდან.

ბაზილიკის ინტერიერი მთლიანად ყოფილა შელესილი და დაფარული კედლის მხატვრობით. ამ უკანასკნელისგან შემორჩა საკმაოდ დაზიანებული და ჩამორეცხილი უმნიშვნელო ფრაგმენტები. საკურთხევლის აფსიდაში ძლივს გაირჩევა „ზიარების“ კომპოზიცია, რომელიც აფსიდის დიდი სარკმლის ორივე მხარესაა წარმოდგენილი. მაცხოვრის და მოციქულთა სახეების რბილი დამუშავება, შუქ-ჰაეროვანი მოდელირების გამოყენება XI საუკუნის კედლის მხატვრობის ტრადიციებს შეესაბამება, ხოლო მათი სამოსის ხაზობრივი და მოუხეშავი ფორმები აშკარად ხელმეორედ მოხატვის შედეგი უნდა იყოს.

ესბეკის ბაზილიკა თავის დროზე გადახურული იყო მოჭიქული ლორფინებით. დღეს მას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გადახურვა აღარ გააჩნია.

ამრიგად, აქ გამოყენებული საამშენებლო ხერხებითა და არქიტექტურული ტიპით, აგრეთვე იმ ნიშნებით, რომლებიც ტაო-კლარჯეთის რეგიონში VIII-IX საუკუნეებში აგებულ ეკლესიებსაც (განსაკუთრებით პარეხთას ქვედა ბაზილიკა) ახასიათებთ, ესბეკის სამნავიანი ბაზილიკა შეიძლება მივაკუთვნოთ IX საუკუნის დასასრულს ან X საუკუნის დასაწყისს.

ესბეკის ბაზილიკის სამხრეთ-დასავლეთით, რამდენიმე მეტრის დაშორებით, დგას კარგად დამუშავებული ნაცრისფერი ქვიშაქვის მოზრდილი კვადრებით ნაგები პატარა ცალნავიანი ეკლესია. ერთადერთი კარი გაჭრილია ჩრდილოეთის კედელში, რაც იშვიათობას წარმოადგენს ქართულ არქიტექტურაში და იგი განსაკუთრებული გარემოებებით, ჩვენს შემთხვევაში კი ეკლესიის ადგილმდებარეობით არის განპირობებული. სამლოცველოს ინტერიერი წარმოდგენილია ერთიანი დაუნაწევრებელი პატარა სივრცის სახით. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ესბეკის დარბაზული ეკლესია ამ ტიპის ნაგებობათა ადრეულ ნიმუშს განეკუთვნება და მისი მშენებლობის პერიოდი IX-X საუკუნეების მიჯნას არ უნდა გადმოსცდეს, ე.ი. იგი ბაზილიკის თანადროული გამოდის.

ეკლესია აღმოსავლეთით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რომელიც კედლის სწორკუთხედშია ჩაწერილი და რომლის ორივე მხარეს კვადრატული ფორმის თითო პატარა თახჩა თუ სახატეა გამოკვეთილი. საკუთრივ აფსიდა შემოსაზღვრულია ოდნავ შეისრული მოხაზულობის სატრიუმფო თაღით, რომელიც აფსიდის მხრებთან ჩასმულ მარტივპროფილიან იმპოსტებს ეყრდნობა.

ესბეკის დარბაზული ეკლესიის შიდა სივრცე საკმარისად ნათდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში გაჭრილი თითო არცთუ ისე მცირე ზომის სარკმლებიდან და ჩრდილოეთის კარიდან შემოსული შუქით. მეტად საინტერესოაა გადაწყვეტილი აღმოსავლეთის სარკმლის ღიობის ზედანი, სადაც წითელი და ლურჯი ფერის მცირე კენჭების რიტმული შენაცვლებით მიღებულ წრეში ჩასმულია ჯვარი. ასეთივე კენჭებით შექმნილი სარტყლები ვერტიკალურად მიუყვება სარკმლის წირთხლებს.

სამლოცველო თავდაპირველად ცილინდრული კამარით იყო დასრულებული, რომლისგან დღეს არაფერი შემორჩა. ეკლესია ამჟამად ხის ძელებითაა გადახურული.

ესბეკის არქიტექტურულ ანსამბლში, გარდა ზემოაღნიშნული ორი ნაგებობისა, გაერთიანებულია XV-XVI საუკუნეებში აგებული აგურის დარბაზული ეკლესია და სათვალთვალო კოშკი, რომელთაც ირგვლივ შემოუყვება ქვის მასიური გალავანი კარიბჭით. გალავნის კედლის სიმაღლე ზოგ ადგილას 3-4 მეტრს აღწევს.

ამგვარად, ჩვენი ცდა, მკითხველისთვის მიგვეწოდებია მოკლე ინფორმაცია ტაო-კლარჯეთის შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და თითქმის შეუსწავლელი ძეგლის შესახებ, ვფიქრობ, ნაწილობრივ განხორციელდა. მაგრამ ეს არის მხოლოდ საწყისი ნაბიჯები ესბეკის მეცნიერული კვლევის სფეროში. მომავალში იგი მეტ ჩაღრმავებასა და განზოგადებას საჭიროებს.



სურ.1

ესბეგის სამნაფიანი ბაზილიკა, ხედი სამრეთ-დასავლეთის ფასადზე.



სურ.2

ესბეგის სამნაფიანი ბაზილიკა, სამრეთის ფასადი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა და კედლის მხატვრობა, გრაფიკული დოკუმენტაცია, გამოფენის კატალოგი, თბ., 1996, გვ.8, 23.
2. W.Djobadze, Early Medieval Georgian Churches and Monasteries in Historic Tao, Klardjethi and Shavshethi. Frans Steiner Verlag Stuttgart, 1992, p.47-48.

მიღებულია: 23.10.2003